საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N496 2018 წლის 24 ოქტომბერი ქ. თბილისი

„აგროდაზღვევის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის №162 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აგროდაზღვევის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის №162 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/04/2018, 290040000.10.003.020477) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“:

1. მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ფრანშიზა – არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (დანართ №1-ით განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში – სადაზღვევო ლიმიტის 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (დანართ

№1-ით განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში – 15%). მითითებული 2 სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, ერთისა და იმავე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში, თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს პროგრამით განსაზღვრული წესით;".

2. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი N1.

დაზღვევის პირობები

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	საგენტოს თანამონაწილეობა	დამზღვევის თანამონაწილეობა	სადაზღვევო ტარიფი	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა	ნორმატიული ფასი ლარი/კგ	ნორმატიული მოსავლიანობა კგ/ჰა
მარცვლეული კულტურები						
ხორბალი	70%	30%	6.50%	1,500	0.5	3,000
ქერი				1,320	0.6	2,200
სიმინდი				2,250	0.5	4,500
შვრია				1,200	0.6	2,000
ჭვავი				1,365	0.65	2,100
პარკოსანი კულტურები						
ლობიო	70%	30%	6.50%	3,400	2	1,700
მზესუმზირა				2,300	1	2,300
სოიო				2,500	1	2,500
მიწის თხილი				8,500	5	1,700
ბოსტნეული კულტურები						
ბადრიჯანი	70%	30%	8.50%	14,000	0.5	28,000
წიწაკა				14,000	0.5	28,000
კომბოსტო				15,200	0.4	38,000
პომიდორი				12,000	0.4	30,000
კიტრი				13,500	0.5	27,000
კარტოფილი				15,000	0.6	25,000
ხახვი				12,500	0.5	25,000
ნიორი				14,400	1.8	8,000
სტაფილო				16,250	0.65	25,000
ჭარხალი				15,000	0.5	30,000
ბროკოლი				20,000	2	10,000
ყვავილოვანი კომბოსტო			8.00%	15,000	0.8	18,750
მწვანილი (არასასათბურე)				18,000	3	6,000
ცერეცო (არასასათბურე)				30,000	3	10,000

ბაღჩეული კულტურები						
საზამთრო	70%	30%	10.50%	10,000	0.25	40,000
ნესვი				10,000	0.4	25,000
გოგრა			10.00%	12,000	0.6	20,000
ვაზი						
თეთრი	50%	50%	8.50%	8,000	0.8	10,000
წითელი				10,000	1	10,000
ხეხილი						
ვაშლი	70%	30%	8.00%	25,000	1	25,000
მსხალი				30,000	1.5	20,000
კომში				20,000	1	20,000
ბალი, ალუბალი				22,500	1.5	15,000
ატამი				13,800	0.6	23,000
გარგარი				22,500	1.5	15,000
ქლიავი				14,400	0.9	16,000
ბროწეული				19,200	1.2	16,000
ალუჩა				16,000	0.8	20,000
ტყემალი				9,000	0.6	15,000
კენკროვანი კულტურები						
მარწყვი	70%	30%	11.00%	13,500	1.5	9,000
ჟოლო				14,000	2.8	5,000
მოცხარი				12,000	2	6,000
მოცვი				32,000	4	8,000
მაყვალი				14,000	2.8	5,000
კაკლოვანი კულტურები						
თხილი	70%	30%	6.00%	6,000	4	1,500
კაკალი				16,000	4	4,000
ნუში			9.25%	15,000	5	3,000
სუბტროპიკული კულტურები						
კივი	70%	30%	10.70%	18,000	1	18,000
სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი				10,800	0.6	18,000
ფეიხოა				12,000	1.5	8,000
ციტრუსი						
მანდარინი	70%	30%	15.00%	10,000	0.5	20,000
ლიმონი				13,600	0.85	16,000